N 22062
24/12/2018

22062-3-9-3-201812241049

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო
დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ საქართველოს პარლამენტის წევრების აკაკი ზოიძის, დიმიტრი ხუნდაძის, ლევან კობერიძის, ილია ნაკაშიძის და დიმიტრი მხეიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებული საქართველოს კანონის პროექტი: „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ განხილული იქნას დაჩქარებული წესით, ვინაიდან, აღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებას და მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, კერძოდ პროგნოზირებულია ამ შემოსავლების 45 მილიონი ლარით ზრდა, რომელიც თავის მხრივ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საკანონმდებლო ინიციატივით გათვალისწინებული ცვლილებები ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრამდე.

შესაბამისად, აუცილებელია წარმოდგენილი საკნონმდებლო ინიციატივით გათვალისწინებული ცვლილებების უმოკლეს ვადაში განხორციელება.

გთხოვთ, მისცეთ მსვლელობა.

პატივისცემით,

აკაკი ზოიძე

თავმჯდომარე

თბილისი 0114, რუსთაველის გამზ. №8 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ-ფოსტა: contact@parliament.ge